

**სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში“**

ალექსანდრე მითაიშვილის განცხადებასთან დაკავშირებით შექმნილი თვითრეგულირების კომისიის

**გადაწყვეტილება**

საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

15 ივნისი

ქ. ბათუმი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსის ალექსანდრე მითაიშვილის განცხადებასთან დაკავშირებით შექმნილი თვითრეგულირების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ემზარება საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის უფროსი - კომისიის თავმჯდომარე;
- ბესარიონ შერვაშიძე - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ მაუწყებლობის განვითარების სამსახურში სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სპეციალისტი;
- ნათელა გოგიჩაიშვილი - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ დირექტორის თანაშემწე - კომისიის წევრი;

კომისიაზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს“ მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების წესების დაცვით მოწვეული იყო განმცხადებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსის ალექსანდრე მითაიშვილი;

კომისიაზე მოწვეული იქნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს“ ახალი ამბების სამსახურის რეპორტიორი და სადაო სიუჟეტის ავტორი ქალბატონი ჯენი კვანტალიანი;

კომისიის მიერ ახალი ამბების სამსახურიდან გამოთხოვილი იქნა გადაცემა მთავარში 2021 წლის 01 ივნისს გასული სიუჟეტი (იხ. მიმაგრებული ფაილი).- <https://ajaratv.ge/article/77581>;

2021 წლის 15 ივნისის სხდომაზე გამოცხადნენ საჩივრის ავტორი განმცხადებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი ალექსანდრე მითაიშვილი; სხდომაზე გამოცხადდა ასევე ბატონ ალექსანდრე მითაიშვილის წარმომადგენელი მინდია ალელიშვილი, რომელმაც სხდომაზე წარმოადგინა

კანონმდებლობის დაცვით შედგენილი ნოტარიულად დამოწმებული რწმუნებულება; სხდომაზე საჩივრის ავტორმა და მისმა წარმომადგენელმა მხარი დაუჭირეს თავიანთ საჩივარს;

კომისიისათვი მიწოდებული იქნა ახალი ამბების სამსახურიდან (რეპორტიორი ჯერი კვანტალიანი) გადაცემასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ სადაო აუდიტის დასკვნა;

ამავე დროს კომისია გამოკითხული იქნა 2021 წლის 15 ივნისს ახალი ამბების სამსახურის რეპორტიორი ჯერი კვანტალიანი, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული სიუჟეტის (2021 წლის 01 ივნისს გადაცემა „მთავარში“) ავტორი, რომელიც არ დაეთანხმა საჩივარს;

### 1. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

1.1. 2021 წლის 04 ივნისს საზოგადოებრივ მაუწყებელს განცხადებით მომართა მოქალაქე ალექსანდრე მითაიშვილმა, რომელიც თავის განცხადებაში მიუთითებს, რომ „გაცნობებთ, რომ 2021 წლის 01 ივნისს, 20:00 საათზე თქვენი ტელევიზიით გავიდა სიუჟეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან დაკავშირებით, რომლის საფუძველიც (იგულისხმება ბსუ-ს შიდა აუდიტის დასკვნა) და სიუჟეტიც წარმოდგენილია არაზუსტად და მცდარად. აღნიშნული სიუჟეტით შილახა არა მარტო ჩემი, არამედ უნივერსიტეტის იმიჯიც, კერძოდ, სიუჟეტში საუბარია ჩემი სამსახურებრივი დანიშნულების ტრანსპორტით ( TOYOTA COROLA LL-949-LC) ორ ტონა ნახევრი საწვავის დახარჯვასა და ამავე ავტომანქანის მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე, თვითღირებულებაზე მეტი თანხის დახარჯვასთან დაკავშირებით. საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შედა აუდიტის დასკვნა, რომელიც ატვირთულია ელექტრონული სისტემა eflow.emis.ge -ში (ამონაწერი-4 ფურცელი თან ერთვის) საუბარია ზემო აღნიშნული ტრანსპორტის 2020 წლის წლიურ ლიმიტზე-2480 ლიტრა ბენზინზე და დახარჯულ 159 ლიტრა ბენზინზე, სიუჟეტში კი საუბარია ჩემს მიერ ორ ტონა ნახევარი საწვავის არაკანონიერ ხარჯვაზე, სლანიშნავია, რომ 2004 წელს TOYOTA COROLA LL-949-LC -ით დაზოგილია 2321 ლიტრა ბენზინი და ასევე ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე წინა წლებთან შედარებით არის მნიშვნლოვარი კლება (იხილეთ დანართი-2 საწვავის ხარჯი-1 ფურცელი). რა შეეხება ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების შეძენის მიზნით დახარჯულ თანხებს, 2020წლის 16 დეკემბერს ბსუ-ს შესყიდვების სამსახურის მიერ ჩატარდა ბაზრის კვლევა. ბაზრის კვლევა დაგზავნილი იქნა ქ. ბათუმში მოქმედ 12 კომპანიასთან, რის შედეგადაც განისაზღვრა პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება. ჩატარებული ბაზრის კვცლევის შედეგად მომზადდა და 2020 წლის 25 დეკემბერს გამოცხადდა ერთიანი ელექტრონული ტენდერი NAT2000203202- სახელშეკრულებო ღირებულებით 60 000 ლარი, რომლის სრულად ათვისების ვალდებულებას აღნიშნული ელექტრონული ტენდერი არ ითვალისწინებდა. ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო 7 პრეტენდენტმა. ხუთმა დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა ვერ დააკმაყოფილა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოთხოვნები და დისკვალიფიკაცია მიიღო ტექნიკური დოკუმენტაციის გამო. აღსანიშნავია, რომ დიკვალიფიკაციის გათვალისწინება ერთ-ერთმა პრეტენდენტმა გაასაჩივრა სახელმწიფო შესყიდვებთან

დაკავშირებულ დავების განხილვის სამჟოში, რაც დავების განხილვის საბჭოს მიერ არ დაკმაყოფილდა და ტენდრის პროცედურები გაგრძელდა. მე-6 პრეტენდენტმა შპს „პროგრესინვესტმა“ წარმოდგენილი დოკუმეტებით და ასევე ადგილზე მატერიალური ტექნიკური ბაზის გადამოწმებით დაკავშირდებოდა დოკუმენტებით და ასევე ადგილზე მატერიალური ტექნიკური ბაზის გადამოწმებით დაკავშირდებოდა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომელთანაც გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N56 ხელშეკრულება. ბსუ-ს სატენდერო კომისიის თითოეული გადაწყვეტილება, თანმდევი დოკუმენტაციით ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ( სატენდერო გაცხადება NAT2000203222). აღნიშNული ხელშეკრულების ფარგლებში კონტროლის სატენდერო გაცხადება 2021 წლის 21 აპრილს შეიქმნა მიღბა-ჩაბარების კონტოლის განმახორციელებელი კომისია. 2021 წლის 21 აპრილს შეიქმნა მიღბა-ჩაბარების კონტოლის განმახორციელებელი კომისია. სამოაღნიშნულიდან გამომდინარ უნივერსიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებების სარემონტო ზემოაღნიშნულიდან გამომდინარ უნივერსიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებების სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები განხორციელდა კანონმდებლობის სრული დაცვითა და კომისიური სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები განხორციელდა კანონმდებლობის სრული დაცვითა და კომისიური წესით და არა უშუალოდ პირადი ჩემი ინტერესით, როგორც ეს სიუჟეტშია გაშუქებული. რაც შეეხება 17:05 საათზე ჩემს სამუშაოზე არ ყოფნას, გაცნობებთ, რომ პანდემიის პერიოდში ბსუ-ში სამუშაო საათები განისაზღვრა 10:00 საათიდან 17:00 საათმდე და სამუშაოს დამთავრების ერთოდში აღნიშნული მიზეზით არ ვიმყოფებოდი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია რომ 2021 წლის 01 ივნისს 20:00 საათზე გასული სიუჟეტით შეილახა ჩემი პრესტიუ, რის გამოც ვითხოვ ამავე ეთერით საჯაროდ ბოდიშის მოხდას, წინააღმდეგ შემთხვევაში ვიტოვებ უფლბას ჭეშმარიტების დადგენისა და ჩემი შელახული ავტორიტეტის დაცვის მიზნით მივმართო ალტერნატიულ ტელევიზიებსა და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს ( ურნალისტური ეთიკის ქარტია, სასამართლოს და ა.შ). “..... (კომისია თავის მჯელობას აფუძნებს აღუქსანდრე მიტაიშვილის 2021 წლის 04 ივნისის #02-14/230 განცხადებაზე)

1.2. აღნიშნული განცხადების (საჩივრის) საფუძველზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2021 წლის 08 ივნისს 02-09/76 ბრძანების თანახმად შეიქმნა თვითონარეგულირების კომისია; კომისია თავის მსჯელობას აფუძნებს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2021 წლის 08 ივნისის 02-09/76 ბრძანებაზე);

1.3. ვინაიდან განმცხადებელი თავის საჩივარში (განმცხადებაში) მიუთითებდა, რომ „ თქვენი ტელევიზით გავიდა სიუჟეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან დაკავშირებით, რომლის საფუძველიც (იგულისხმება ბსუ-ს შიდა აუდიტის დასკვნა) და სიუჟეტიც წარმოდგენილია არაზუსტად და მცდარად. აღნიშნული სიუჟეტით შილახა არა მარტო ჩემი, არამედ უნივერსიტეტის იმიჯიც, კერძოდ, სიუჟეტში საუბარია ჩემი სამსახურებრივი დანიშნულების ტრანსპორტით( TOYOTA COROLA LL-949-LC) ორ ტონა ნახევრი საწვავის დახარჯვასა და ამავე ავტომანქანის მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე, თვითდირებულებაზე მეტი თანხის დახარჯვასთან დაკავშირებით. საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შედა აუდიტის დასკვნა, რომელიც ატვირთულია ელექტრონული სისტემა [eflow.emis.ge](http://eflow.emis.ge) -ში (ამონაწერი-4 ფურცელი თან ერთვის) საუბარია ზემო აღნიშნული

ტრანსპორტის 2020 წლის წლიურ ლიმიტზე-2480 ლიტრა ბენზინზე და დახარჯულ 159 ლიტრა ბენზინზე, სიუჟეტში კი საუბარია ჩემს მიერ ორ ტონა ნახევარი საწვავის არაკანონიერ ხარჯვაზე, სღანიშნავია, რომ 2004 წელს TOYOTA COROLA LL-949-LC -ით დაზოგილია 2321 ლიტრა ბენზინი და ასევე ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე წინა წლებთან შედარებით არის მნიშვნლოვარი კლება;"- კომისიის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება საჩივრის განხილვის შესახებ; (კომისია თავის მსჯელობას აფუძნებს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში“ ალექსანდერ მითაიშვილის განცხადებასთან დაკავშირებით შექმნილი თვითრეგულირების კომისიის სხდომის ოქმზე);

1.5. კომისიის მიერ ახალი ამბების სამსახურიდან გამოთხოვილი იქნა გადაცემა მთავარში 2021 წლის 01 ივნისს გასული სიუჟეტი (იხ. მიმაგრებული ფაილი).- <https://ajaratv.ge/article/77581>; (კომისია თავის მსჯელობას აფუძნებს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ ეთერში 2021 წლის 01 ივნისს საღამოს გადაცემა მთავარში გასულ სიუჟეტზე);

1.6. კომისიისათვი მიწოდებული იქნა ახალი ამბების სამსახურიდან (რეპორტიორი ჯენი კვანტალიანი) გადაცემასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ სადაო აუდიტის დასკვნა; 9კომისია თავის მსჯელობა აფუძნებს სიუჟეტის ავტორის მიერ წარმოდგენილ აუდიტის დასკვნაზე);

1.7. კომისიას სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს“ დირექტორის 2015 წლის 01 ოქტომბრის #02-03/18 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს“ მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების მე-3 მუხლის თანახმად მექევსე ნაწილის (კომისიის სხდომაზე საკითხის განხილვისას აუცილებელია იურისტის (ან იურისტების ჯგუფის) სამართლებრივი დასკვნა;) თანახმად სამართლებრივი დასკვნა წარმოუდგინა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს: იურიდიული სამსახურის უფროსმა ნინო უტიაშვილმა; (კომისია თავის მსჯელობას აფუძნებს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ იურიდიული სამსახურის უფროსის მიერ მომზადებულ სამართლებრივ დასკვნაზე);

1.8. კომისიის სხდომაზე კომისიის მითითებით მოსარჩევის წარმომადგენელმა დააზუსტა თავდაპირველი მოთხოვნა (გასული სიუჟეტით შეიღახა ჩემი პრესტიუ, რის გამოც ვითხოვ ამავე ეთერით საჯაროდ ბოდიშის მოხდას, წინააღმდეგ შემთხვევაში ვიტოვებ უფლებას ჭეშმარიტების დადგენისა და ჩემი შეღახული ავტორიტეტის დაცვის მიზნით მივმართო ალტერნატიულ ტელევიზიებსა და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს ( ურნალისტური ეთიკის ქარტია, სასამართლოს და ა.შ). და მოითხოვა მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის საფუძველზე შესწორება და უარყოფა;

## 2. დადგენილი სადაო გარემოებები;

2.1. განმცხადებელი თავის საჩივარში მიუთითებს სამ უზუსტობაზე, რომელთან დაკავშირებითაც კომისიის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი სადაო ფაქტობრივი გარემოებები:

2.1.1. თავის განცხადება საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ „ . . . კერძოდ, სიუჟეტში საუბარია ჩემი სამსახურებრივი დანიშნულების ტრანსპორტით (TOYOTA COROLA LL-949-LC) ორ ტონა წახევრი საწვავის დახარჯვასა . . . . საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შედა აუდიტის დასკვნა, რომელიც ატვირთულია ელექტრონული სისტემა eflow.emis.ge -ში (ამონაწერი-4 ფურცელი თან ერთვის) საუბარია ზემო აღნიშნული ტრანსპორტის 2020 წლის წლიურ ლიმიტზე-2480 ლიტრა ბენზინზე და დახარჯულ 159 ლიტრა ბენზინზე, სიუჟეტში კი საუბარია ჩემს მიერ ორ ტონა წახევარი საწვავის არაკანონიერ ხარჯვაზე, სდსანიშნავია, რომ 2004 წელს TOYOTA COROLA LL-949-LC -ით დაზოგილია 2321 ლიტრა ბენზინი და ასევე ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე წინა წლებთან შედარებით არის მნიშვნლოვარი კლება (იზილეთ დანართი-2 საწვავის ხარჯი-1 ფურცელი);” კომისია აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ სიუჟეტში საუბარი არ არის მხოლოდ TOYOTA COROLA LL-949-LC, სიუჟეტში ავტორი ცალსახად მიუთითებს, რომ საუბარია მომჩინის მიერ მის განკარგულებაში არსებულ ავტომანქანებზე; კომისიის სხდომაზე დაადასტურა და სადაო არ არის რომ მომჩივანს ასევე გამგებლობაში ჰყავდა ტოიოტა პრადო, რომლის სახელმწიფო ნომერია **KL 797 LK**, რომელზეც დახარჯული იქნა 2301 ლიტრი, ხოლო ორივე ავტომანქანაზე საჩივრის ავტორის მიერ დახარჯული იქნა 2460 ლიტრი საწვავი;

2.1.2. მეორე გარემოება, რომელზედაც მხარე მიუთითებს, მდგომარეობს შემდეგში: „ კერძოდ, სიუჟეტში საუბარია . . . . ამავე ავტომანქანის მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე, თვითღირებულებაზე მეტი თანხის დახარჯვასთან დაკავშირებით. . . . . რა შეეხება ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების შემწის მიზნით დახარჯულ თანხებს, 2020 წლის 16 დეკემბერს ბსუ-ს შესყიდვების სამსახურის მიერ ჩატარდა ბაზრის კვლევა. ბაზრის კვლევა დაგზავნილი იქნა ქ. ბათუმში მოქმედ 12 კომპანიასთან, რის შედეგადაც განისაზღვრა პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება. ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგად მომზადდა და 2020 წლის 25 დეკემბერს გამოცხადდა ერთიანი ელექტრონული ტენდერი NAT2000203202-სახელშეკრულებო ღირებულებით 60 000 ლარი, რომლის სრულად ათვისების ვალდებულებას აღნიშნული ელექტრონული ტენდერი არ ითვალისწინებდა. ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო 7 პრეტენდენტმა. ხუთმა დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა ვერ დააკმაყოფილა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოთხოვნები და დისკვალიფიკაცია მიიღო ტექნიკური დოკუმენტაციის გამო. აღსანიშნავია, რომ დიკვალიფიკაციის გათვალისწინება ერთ-ერთმა პრეტენდენტმა გაასაჩივრა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის სამჭოში, რაც დავების განხილვის საბჭოს მიერ არ დაკმაყოფილდა და ტენდერის პროცედურები გაგრძელდა. მე-6 პრეტენდენტმა შპს „პროგრესინგსტმა“ წარმოდგენილი დოკუმენტებით და ასევე ადგილზე მატერიალური ტექნიკური ბაზის გადამოწმებით დააკმაყოფილა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომელთანაც გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N56 ხელშეკრულება. ბსუ-ს სატენდერო კომისიის თითოეული გადაწყვეტილება, თანმდევი დოკუმენტაციით ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ( სატენდერო გაცხადება NAT2000203222). აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში კონტროლის განხორციელების მიზნით ხელშეკრულების შესაბამისად ბსუ-ს ადმინისტრაციის

ხელმძღვანელის ბრძანებით 2021 წლის 21 აპრილს შეიქმნა მიღბა-ჩაბარების კონტოლის განმახორციელებელი კომისია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარ უნივერსიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებების სარემონტო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები განხორციელდა კანონმდებლობის სრული დაცვითა და კომისიური წესით და არა უშუალოდ პირადი ჩემი ინტერესით, როგორც ეს სიუჟეტშია გაშუქებული." - აღნიშნულთან დაკავშირებით კომისია განმარტავს, რომ სიუჟეტის ავტორის მიერ აღნიშნული ავტომანქანის გარემონტებასთან დაკავშირებით სრულად აქვს აუდიტის დასკვნა მოყვანილი და ამავე დროს მისი კომენტარი შემოიფარგლა აუდიტის დასკვნაშიც მითიტებულ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ „, რატომ გახდა აუცილებელი, ავტომანქანაზე, რომლის ექსპლოატაცია ატარებს ეპიზოდურ ხასიათს, დახარჯულიყო მკცარი ეკონომის პირობებში საბალანსო ღირებულების ტოლი ფინანსური რესურსი (?); ასევე როგორც ფაქტი ისე არის მოყვანილი ის გარემოება აუდიტის დასკვნიდან, რომ ბსუ-ს მიერ მოხდა 5 კომპანიის დისკვალიფიკაცია რომელთა მიე შემოთავაზებული მომსახურების ღირებულება ხშირ შემთხვევაში 2-ჯერ ნაკლები იყო შპს „პროგრეს ინვესტის შეთავაზებაზე);

2.1.3. რაც შეეხება მესამე სადაო ფაქტობრივ გარემოებას, აღნიშნულთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი მიუთიტებს, რომ „, რაც შეეხება 17:05 საათზე ჩემს სამუშაოზე არ ყოფნას, გაცნობებთ, რომ პანდემიის პერიოდში ბსუ-ში სამუშაო საათები განისაზღვრა 10:00 საათიდან 17:00 საათმდე და სამუშაოს დამთავრების ერთოდში აღნიშნული მიზეზით არ ვიმყოფებოდი." აღნიშნულთან დაკავშირებითაც კომისია იზიარებს, სიუჟეტის ავტორის პოზიციას, რომ მოცემულ შემთხვევაში სიუჟეტის ავტორის მხრიდან დროზე აპელირება განხორციელდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სიუჟეტში დაფიქსირებულიყო საჩივრის ავტორის პოზიცია; სიუჟეტის ავტორმა ყველა რესურსი გამოიყენა აღნიშნულთან დაკავშირებით, იყო მომჩივნის კაბინეტთან სამუსაო საათებში, სცადა დაკავშირებოდა მომჩივნას და სატელეფონო კომენტარი მაინც ჩაეწერა, თუმცა მისი ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა; კომისია იზიარებს სიუჟეტის ავტორის პოზიციას (ეს სიუჟეტიდანაც დასტურდება), რომ სიუჟეტის ავტორი 17:00 მდე იმყოფებოდა უნივერსიტეტში;

### 3. სამართლებრივი დასაბუთება:

3.1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2015 წლის 01 ოქტომბრის #02-03/18 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების მე-4 მუხლის თანახმად 1. კომისია მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი წესით განიხილავს საჩივრებს შემდეგ საკითხებზე: 1.1. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს პროგრამებში მოყვანილი ფაქტების უზუსტობის გამო წარმოდგენილი დავები; 1.2. ფაქტების ზუსტი, სამართლიანი და მიუკერძობელი გაშუქების ვალდებულების დარღვევისას წარმოქმნილი დავები . . . 1.5 ქცევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების დარღვევები;" - შესაბამისად სწორედ იმის გამო, რომ განცხადებელი თავის საჩივარში (განცხადებაში) მიუთითებდა, რომ „ჟურნალისტურ პროდუქტში, რამდენიმე ფაქტობრივი უზუსტობა იყო წარმოჩენილი“ აღნიშნული განცხადება (საჩივარი)

მიღებული იქნა წარმოებაში, რათა დადგენილი ყოფილიყო სადაო სიუჟეტში მოყვანილი ფაქტების უზუსტობა;

3.2. მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად „მაუწყებელმა დაუფარავად და ობიექტურად უნდა გააშუქოს მასთან და მის პერსონალთან დაკავშირებული საკითხები. მაუწყებელი ვალდებულია ყურადღებით გაეცნოს საზოგადოებისგან შემოსულ ყველა საჩივარს და სათანადო დროში გასცეს თავაზიანი პასუხი. თუ საჩივარში გამოთქმული პრეტენზია საფუძვლიანია, დაუყოვნებლივ გაასწორეთ დაშვებული შეცდომები;“ - შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში კომისია ყურადღებით გაეცნო საზოგადოებრივი მაუწყებელში შემოსულ განცხადებას და შესწავლილი იქნა მასში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები;

3.3. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2015 წლის 01 ოქტომბრის #02-03/18 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების 7.9 მუხლის თანახმად „კომისია ვალდებულია საჩივრის განხილვისას გამოიკვლიოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიღების ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე“; - შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში კომისია ყურადღებით გაეცნო საზოგადოებრივ მაუწყებელში შემოსულ განცხადებას, შესწავლილი იქნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილების მიღებისას კომისიის მიერ მოხდა ამ გარემოებათა შეფასება და ურთიერთშეჯერება;

3.4. კომისია, სანამ განმცხადებლის დაზუსტებულ მოთხოვნაზე იმსჯელებდა („ბოდიში მოიხადოს როგორც „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიომ“, ასევე ახალი ამბების სამსახურმა და უშუალოდ უურნალისტმა ჯერი კვანტალიანმა), მანამდე შეეცადა სამართლებრივად შეეფასებინა თვით განცხადებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები (განმცხადებლის განცხადებით როგორც ზემოთ მივუთითე, ასეთი არის სამი გარემოება);

3.5. ზოგადად აზრის თავისუფლება არა მარტო უურნალისტთა, არამედ ყველა ადამიანის ძირითადი უფლებაა. საკუთარი აზრის თავისუფლად და შეუფერხებლად გამოთქმის გარეშე წარმოუდგენელი და შეუძლებელია ადამიანის თვითგანვითარება. უპირველეს ყოვლისა, სწორედ დემოკრატია, როგორც სახელმწიფოს ფორმა, ამლევს ყველა მოქალაქეს გარანტირებულ შესაძლებლობას, თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი. სწორედ აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება უზრუნველყოფს აზრთა მუდმივი ჭიდილის, ინტელექტუალური დაპირისპირების შესაძლებლობას, რაც დემოკრატიის სასიცოცხლო ელემენტია;

3.6. საქართველოს კონსტიტუციის მე-17-ე მუხლით უზრუნველყოფილია აზრის თავისუფლება, აგრეთვე ინფორმაციისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებები ხასიათდება ორი ნიშნით: პირველი არის კავშირი კონსტიტუციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტთან, ანუ დემოკრატიის პრინციპთან: დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელია თავისუფალი და კარგად

ინფორმირებული აზრის გარეშე. მეორე ნიშანი კი მდგომარეობს იმაში, რომ აზრის თავისუფლება შეიცავს ადამიანის ღირსებისა და პატივისცემიდან გამომდინარე კომპონენტებს, რადგან ადამიანის ელემენტარულ მოთხოვნილებას წარმოადგენს თავისი აზრის გამოთქმა, საკუთრი ცოდნის გაფართოება იმისათვის, რომ ამით განვითარდეს როგორც პიროვნება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, აზრისა და ინფორმაციის თავისუფლებებს დემოკრატიული წყობილებისთვის „უბრალოდ ჩამომყალიბებელი მნიშვნელობა აქვს“.

3.7. ამასთანავე, კონსტიტუციის მე-17-ე მუხლის დებულების მიხედვით დაცულია აზრის არა მხოლოდ ზეპირად ან წერილობით, არამედ წებისმიერი სხვაგვარი საშუალებით გამოთქმა და გავრცელება.“

3.8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს გამოხატვის თავისუფლების როლს დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში, კერძოდ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „გამოხატვის თავისუფლება არსებითად მნიშვნელოვანია დემოკრატიული სახელმწიფოსათვის, მეტიც, იგი დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების აუცილებელი წინაპირობაა“;

3.9 ანალოგიური მსჯელობა აქვს განვითარებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის #1/3/421,422 გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომელშიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა: „გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია, ამ უფლების სათანადო უზრუნველყოფის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია სხვა უფლებების სრულყოფილი რეალიზაცია.“

2.10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში დამატებით ასევე აღნიშნა, რომ „თავისუფალი საზოგადოება შედგება თავისუფალი ინდივიდებისაგან, რომლებიც ცხოვრობენ თავისუფალ ინფორმაციულ სივრცეში, თავისუფლად აზროვნებენ, აქვთ დამოუკიდებელი შეხედულებები და მონაწილეობენ დემოკრატიულ პროცესებში, რაც აზრთა გაცვლა-გამოცვლასა და პაექრობას გულისხმობს.“ (კერძოდ იხილეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II თავი, პარ. 13.);

3.11. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მუდმივად ხაზს უსვამს გამოხატვის თავისუფლების, როგორც დემოკრატიული საზოგადოების მირითადი დასაყრდენის მნიშვნელობას. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მედიის ფუნქცია (ინფორმაციის მიმწოდებლის სასიცოცხლო როლი და საზოგადოებრივი ზედამხედველობის ინსტიტუტი) და მოვალეობა, გაავრცელოს საზოგადოებრივ ინტერესს მიკუთვნებული

ინფორმაცია და იდეები ისე, რომ არ გასცდეს დაწესებულ საზღვრებს. აღნიშნულ მოვალეობას შეესაბამება საზოგადოების უფლება მიიღოს მსგავსი სახის ინფორმაცია. მიჩნეულია, რომ გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს ინდივიდის თვითრეალიზაციისათვის საჭირო ძირითად პირობას. **ამასთანვე, ჟურნალისტებს გააჩნიათ „გაბუქების ან პროცესაციის“ უფლებაც კი;** (პრაგერი და ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ /Prager and Oberschlik v. Austria/; საქმე # 15974/90). მოცემულ შემთხვევაში კომისია სრულად იზიარებს ახალია ამბების ჟურნალისტის, სიუჟეტის ავტორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რმ მოცემულ შემთხვევაში სიუჟეტის ავტორის მხრიდან ადგილი არ ჰქონია რამე სახის უზუსტობის გაღერებას სიუჟეტში და სიუჟეტში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების მოყვანილი იყო სადაო აუდიტის დასკვნიდან;

3.12. თუმცა გამოხატვის თავისუფლება აბსოლუტური არ არის; საქართველოს კონსტიტუციის მე-17-ე მუხლით დადგენილია აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები: დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს. აღნიშნული დებულების მიხედვით, ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შეესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამუღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად;

3.13. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3-ე მუხლის 1-ლი პუნქტიც, საქართველოს კონსტიტუციის მსგავსად, განამტკიცებს პირთა გამოხატვის თავისუფლებას. კერძოდ, დასახელებული მუხლის თანახმად: „სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

„ცილისწამების საფუძვლით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით დეტალური რეგულირება ასახულია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4-ე თავში. კანონში ცნება „ცილისწამება“, ზოგადად, განმარტებულია, როგორც „არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტები განცხადება“, თუმცა ამავე დროს, ამავე კანონის თანახმად, ერთმანეთისაგან განსხვავებულია კერძო პირის ცილისწამებისა და საჯარო პირის ცილისწამების გამო პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები. იმისათვის, რომ ცილისწამების ფაქტი იქნას დადასტურებული და ამის გამო შეიზღუდოს განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლება, საჭიროა ის აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

1. განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მის შესახებ - მოცემულ შემთხვევაში კომისიის მიერ გამოკველული და შესწავლილი მტკიცებულებებით არ დგინდება წარმოდგენილი ფაქტის არსებითად მცდარობა. კომისია მოცემულ შემთხვევაში იზიარებს 8 საათიანი ახალი ამბების გამოშვების

რედაქტორის განცხადებას, რომ რაც შეუხება მეორე სადავო მომენტს, თუ რამდენი წელია მომზივანი ჩინოსანი მუშაობს საჯარო სამსახურში ანუ ასრულებს რომელიმე სამთავრობო უწყებაში სამსახურს, - 20 წელი მის მიერვე დასახელებული ციფრია, შესაძლოა კონკრეტულ სამსახურში, სადაც ორიანებს უწერენ ის 2011 წლიდან მუშაობს, მაგრამ მისივე ცნობით, შევარღნაძის პერიოდიდან მოყოლებული სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა, არის გამოცდილი და ამდენად ორიანებს არ იმსახურებს;"

2. ამ განცხადებით მას ზიანი მიადგა - ამ ფაქტზე მითითებით განმცხადებლისთვის ზიანი არ შეიძლება მოეტანა, ვინაიდან ეს არ არის არსებითი ინფორმაცია მოცემულ შემთხვევაში;

3. განცხადებული ფაქტის მცდარობა განცხადების გამავრცელებელი პირისთვის წინასწარ იყო ცნობილი - აღნიშნულზე ვრცლად ზემოთ გვაქვს ნასაუბრები;

4. ან განცხადების გამავრცელებელმა გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.

### 3.14. პრეცედენტული სამართლის თანახმად:

გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს და ერთ-ერთ ძირითად პირობას მისი პროგრესისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციისათვის. მე-10-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის საფუძველზე, იგი ეხება არა მხოლოდ „ინფორმაციას“ ან „იდეებს“, რომლებიც დადებითი, არაშეურაცხმყოფელი ან უმნიშვნელოა, არამედ შეურაცხმყოფელ, შოკისმომგვრელ ან შემაწუხებელ ინფორმაციას, ან იდეებს. ასეთია პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და ლიბერალური აზროვნების მოთხოვნები, რომელთა გარეშე „დემოკრატიული საზოგადოება“ არ არსებობს. მე-10-ე მუხლის შესაბამისად, თავისუფლება ექვემდებარება გამონაკლისებს, რომლებიც .... უნდა განიმარტოს მკაცრად, თუმცა რაიმე სახის შეზღუდვის საჭიროება დამაჯერებლად უნდა დასაბუთდეს....

ზედსართავი სახელი „აუცილებელი“, 10.2 მუხლის მნიშვნელობით, გულისხმობს „გადაუდებელი სოციალური საჭიროების“ არსებობას. ხელშემკვრელ სახელმწიფოებს გააჩნიათ დისკრეციული უფლებამოსილების გარევეული ფარგლები ამგვარი საჭიროების არსებობის შესაფასებლად, თუმცა ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროპულ ზედამხედველობასთან, რომელიც ეხება როგორც კანონმდებლობას, ისე კანონმდებლობის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, თუნდაც ისინი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ იყოს გამოტანილი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, სასამართლომ უნდა განიხილოს სადავო ჩარევა მთლიანი საქმის კონტექსტის ჭრილში და დაადგინოს, იყო თუ არა ის „ლეგიტიმური მიზნის თანაზომიერი“ და რამდენად „სათანადო და საკმარისია“ ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიერ აღნიშნული ჩარევის დასაბუთებისათვის მოყვანილი მიზეზები. სასამართლომ უნდა გადაამოწმოს და დარწმუნდეს, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოებმა გამოიყენეს სტანდარტები, რომლებიც შეესაბამებოდა მე-10-ე მუხლით განსაზღვრულ პრინციპებს და დაეყრდნენ შესაბამისი ფაქტების

მისაღებ შეფასებას...“ („ჰერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (1976 წლის 7 დეკემბერი, სერია A, N24), „სტოლი შვეიცარიის წინააღმდეგ“ ([დიდი პალატა] N 69698/01, § 101, ECHR 2007-V), „ცხოველთა უფლებების დამცველები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ [დიდი პალატა] N 48876/08, §100, ECHR 2013).

2.15. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ განცხადებლის მიერ მითითებული თითქოსდა უზუსტობები მოყვანილია სადაო აუდიტის დასკვნაში და მოცემულ შემტხვევაში პირიქით საცივრის ავტორი ცდილობს მოსალოდნელი პასუხისმგებლობის დამძიმების მიზნით აპელირება გააკეთოს იმ ფაქტზე, რომ თითქოსდა საჩივარში საუბარი იყო მხოლოდ ერთ ავტომანქანაზე;

იმისათვის, რათა დადგინდეს ცილისწამების არსებობა, პირველ რიგში, აუცილებელია შეფასდეს სადავო განცხადებაში დაცული გამონათქვამები აზრის, შეხედულების გამოხატვაა თუ დადასტურებადი ან უარყოფადი ფაქტების შემცველი განცხადება.

ცალსახაა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მიერ განცხადებაში მითითებული სადაო გარემოებები არ წარმოადგენს არსებითაც მცდარ ფაქტებს, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი;

- „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, „აზრი“ განიმარტება, როგორც შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს.

ამავე კანონის მე-7-ე მუხლის მე-5-ე პუნქტის შესაბამისად, აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლობა.

3.16. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ. ამიტომ ხშირად საკამათო

გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იყარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნას შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში (იხ. სუსგ #ას-1278-1298-2011, 20 თებერვალი, 2012 წელი).

3.17. აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (იხ. სუსგ #ას-1477-1489-2011, 3 აპრილი, 2012 წელი).

2.18 ცილისწამების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური და, რაც მთავარია, მათი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია (იხ. სუსგ #ას-179-172-2012, 1 ოქტომბერი, 2014 წელი).

3.19. უპირველესად, აღსანიშნავია, რომ სპეციალური კანონით მოცემულია როგორც აზრის (შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს), ისე ცილისწამების (არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება) დეფინიცია, რომელთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნა აუცილებელი პირობა ცილისწამების განსაზღვრისათვის.

- მითითებული ნორმის მიხედვით, „აზრი“ ფართოდ უნდა განიმარტოს. იგი გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ერთმანეთისაგან განასხვავა რა ინფორმაცია (ფაქტები) და შეხედულებები (შეფასებითი მსჯელობა), ევროსასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ ფაქტების არსებობა შეიძლება დამტკიცებულ იქნეს, მაშინ, როდესაც შეფასებითი მსჯელობის ნამდვილობა არ ექვემდებარება მტკიცებას. ... რაც შეეხება შეფასებით მსჯელობას, ამ მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია და იგი თავისთავად ხელყოფს შეხედულებების თავისუფლებას, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-10-ე მუხლით

გათვალისწინებული უფლების ფუნდამენტურ ნაწილს (Lingens v. Austria; Jerusalem v. Austria; Dichand and Others v. Austria).

3.20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სადაცო გამონათქვამის სწორი კვალიფიკირისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (სუსგ, #ას-1477-1489-2011, 3.04.2012).

3.21. აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 26 ივლისის №ას-1011-972-2016 გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა, რომელშიც სასამართლო სწორედ ანალოგიურად განმარტავს უურნალისტების „განზრახვას“ დაქსხას პირადი მოტივებით იურიდიულ პირს და ამ თავდასხმის მიზანი, სწორედ იურიდიული პირის რეპუტაციის შელახვაა:

კერძოდ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლო მსჯელობს:

„საკასაციო სასამართლო იზიარებს მოსარჩელეთა მტკიცებას, რომ მოპასუხეთა ქმედება მიზანმიმართული იყო და განცხადებული ფაქტების მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი. როდესაც სტატია ფაქტებს ეხება, მნიშვნელოვანია, დასტურდებოდეს უურნალისტის მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულება: მისი მხრიდან ფაქტების გადამოწმება და კრიტიკის ობიექტისათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ პრესის მეშვეობით პასუხი გასცეს მის მიმართ წარდგენილ ბრალდებებს. მათი შეუსრულებლობა ბადებს საფუძვლიან ეჭვს უურნალისტის განზრახვასთან მიმართებით, მას ამოძრავებს საზოგადოების ინფორმირების სურვილი თუ თავს ესხმის ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომლის მიზანი შეურაცხყოფა და რეპუტაციის შელახვაა.

საკასაციო პალატა იზიარებს ევროსასამართლოს მიდგომას, რომ, როდესაც უურნალისტი „არაკეთილსინდისიერად“ მოქმედებს, მისი (უურნალისტის) დაცვის ხარისხი გაცილებით დაბალია, ვიდრე სხვა შემთხვევაში. კონვენციის მეათე მუხლი ითვალისწინებს როგორც უფლებებს, ასევე - ვალდებულებებს, რომლებიც უნდა დაიცვას პირმა, თუკი იგი გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობს. ეს მოვალეობები პრესაზეც ვრცელდება და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საქმე ეხება პირის რეპუტაციის შელახვას. მეათე მუხლის თანახმადვე, უურნალისტები კეთილსინდისიერად უნდა მოქმედებდნენ და უზრუნველყოფნენ ზუსტი და სანდო ინფორმაციის მიწოდებას უურნალისტური ეთიკის საფუძველზე (Bladet Tromso and Stensaas v. Norway)."

3.22. აქვე კომისიას სურს განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს განმცხადებლის თავდაპირველ მოთხოვნაზე, რაც გამოიხატა შემდეგში, „რომ რის გამოც ვითხოვ ამავე ეთერით საჯაროდ ბოდიშის მოხდას, წინააღმდეგ შემთხვევაში ვიტოვებ უფლებას ჰქონისტების დადგენისა და ჩემი შელახული ავტორიტეტის დაცვის მიზნით მივმართო ალტერნატიულ ტელევიზიებსა და შესაბამის სტრუქტურულ ერთფულებებს“: კომისია თვლის რომ განმცხადებლის აღნიშნული მოთხოვნა იყო არამარტო უსაფუძვლო, არამედ ის ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, ვინაიდან „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების

შესახებ" საქართველოს კანონის მე-17-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის თანახმად, დაუშვებელია მოპასუხის იძულება მოიხადოს ბოდიში; აღნიშნული მსჯელობა აქვს ასევე განვითარებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავის 2013 წლის 25 იანვრის ას-1336-1261-2012 გადაწყვეტილაში, სადაც მითითებულია, რომ „გარდა ამისა პალატა აღნიშნავს, რომ უსაფუძვლო იყო აპელანტის მოთხოვნა მოწინააღმდეგე მხარისათვის ბოდიშის მოხდის დავალდებულების თაობაზე, ვინაიდან სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის მე-17-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის თანახმად, ცილისწამების შემთხვევაშიც კი დაუშვებელია მოპასუხის იძულება, მოიხადოს ბოდიში;

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში კომისია განმარტავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ კომისია დაადგენდა ფაქტის უზუსტობას კომისია არ იყო უფლებამოსილი ბოდიშის მოხდა დაევალებინა ვინმესთვის; სწორედ ამიტომ მისცა საშუალება კომისიამ სხდომაზე საჩივრის ავტორს დაეზუსტებინა თავისი პირვანდელი მოთხოვნა, რაც კანონმდებლობის დაცვით განახორციელა საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა;


სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2015 წლის 01 ოქტომბრის #02-03/18 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს‘ მიერ თვითონარებული მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების მე-7-ე მუხლის მე-9-ე პუნქტის თანახმად, (კომისია ვალდებულია საჩივრის განხილვას გამოიკვლიოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიღღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე), ამავე დებულების მე-8-ე პუნქტის 1.3. პუნქტის თანახმად, (კომისია უფლებამოსილია მიღღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: 1.3. საჩივრის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ), ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, (2. კომისიის გადაწყვეტილებაში აღინიშნება: 2.1. მისი მიღების დრო და ადგილი, მიმღებ პირთა ვინაობა და საჩივრის წარმდგენი პირის დასახელება; 2.2. კომისიის მიერ დადგენილი გარემოებები და მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც მოხდა გადაწყვეტილების მიღება; 2.3. გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადები დ წესები), კომისიამ მიიღო

გადაწყვეტილება

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსის აღექსანდრე მითამშვილის 2021 წლის 04 ივნისის #02-14/230 განცხადება საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ეთერში 2021 წლის 01 ივნისს 20 საათიან საინფორმაციო გამოშვება „მთავარში“ გასულ ჯერ კვანტალიანის სიუჟეტთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდეს;

2. გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება აპელაციის წარდგენის წესით სააპელაციო კომისიაში (სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აქარის ტელევიზია და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოში") გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების დღიდან 7 სამუშაო დღის ვადაში მისამართზე ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის #41 სსიპ

ემზარ პაქსაძე - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“  
საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის უფროსი - კომისიის თავმჯდომარე;



- ბესარიონ შერვაშიძე - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და  
რადიოს“ მაუწყებლობის განვითარების სამსახურში სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების  
სპეციალისტი;



ნათელა გოგიჩაიშვილი - სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს"  
დირექტორის თანამშემწე - კომისიის წევრი;

